

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N 12

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N65

9 ივლისი 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-ლუიზა ჯოგლიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - ლუბა გოგოძე.

სხდომა 12<sup>00</sup>-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2019 წლის 9 ივლისის ბიუროს სხდომის დღის წესრიგი.

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხს./ივანე მამფორია/

2. „ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩა N63-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე მდებარე ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ძიგვაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.“

მომხს./გიორგი ივანიაძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ.“

მომხს./მამუკა ნამიჭეიშვილი/

4. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბი „აიეტი“-ს (ს/კ 429651469) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერი 2018 წლის 23 თებერვლის N20 306 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს./ნარგიზი ალფაიძე/

5., არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ (ს/კ 4296511717) წესდების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 09 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს./ ნარგიზი ალფაიძე/

6., ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამადანტო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

მომხს./ გელა ჩიკვაიძე/

7., ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.“

მომხს./ კობა ტოხვაძე/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა 2019 წლის 9 ივლისის სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ივანე მამფორია, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განაპირობა 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულებაში „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ 2019 წლის 02 ივლისის N1509 განკარგულებით შეტანილმა ცვლილებამ, რის შედეგადაც ვანის მუნიციპალიტეტს ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ზედა ეწერტობანიერში ხევის მეწყრული კერის რეგულირების მიზნით გამოეყო 101,5 ათასი ლარი. შედეგად ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა იზრდება 101,5 ათასი ლარით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 10 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ივანიაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩა N63-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე მდებარე ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ძიგვაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებისგან შემოსულია ერთობლივი განცხადება. ისინი ითხოვენ მიენიჭოს ცენტრალურ ბიბლიოთეკას გიორგი ძიგვაშვილის სახელი. რადგან მხოლოდ მესამე სართულზე განთავსებულ ბილიოთეკას ენიჭება სახელი და არა მთლიანად შენობას, საკრებულოს აქვს პრეროგატივა ადგილზე გადაწყვიტოს ეს საკითხი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 10 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ.“ მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ 4 პროექტია შერჩეული 2020 წლისათვის ღირებულებით 7030000 ლარით და წარმოადგინა ეს პროექტები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 10 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 და მე-5 საკითხებთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ მიმართა მომხსენებელს, ნარგიზი ალფაიძეს, რომ

საკრებულოს რეორგანიზაციაზე თანხმობა მიცემული აქვს და ცვლილებები უკვე მერის პრეროგატივაა, არ ჭირდება საკრებულოს თანხმობა, შესაბამისად ეს საკითხებია არ გავა საკრებულოს სხდომაზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა გიორგი ივანიძის წინადადებას.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხები არ იქნას შეტანილი საკრებულოს 2019 წლის 10 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამადანტო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა: ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯოლდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების სახელების მინიჭების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცების და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ანგარიში ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს საკრებულოს იურიდიულ, სამადანტო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა:

დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კობა ტოხვაძემ წარმოადგინა საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა: ა (ა) ი.პ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ დერექტორის ინფორმაცია 2019 წლის საფეხბურთო სეზონისათვის მზადების შესახებ. ა (ა) ი.პ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო

კლუბი „აიეტის“ დერექტორის ანგარისი 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. ა.(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ახალი სასწავლო წლის ინფორმაციის მოსმენა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს საკრებულოს იურიდიულ, სამადანტო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა:

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე